ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.


| 1927 წლის სექტემბრის 1 | № 15 განყოფილება პირველი | ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული. |
|---|---|---|


შ ი ნ ა ა რ ს ი:


მუხ. 174. ყრილობებისა და თათბირების მოწვევის ნებადართვის წესის შესახებ.

„ 175. წყალში დაღუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დებულების მე-6 და 25 მუხლ. რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 176. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში სოციალური დაზღვევის საკითხების გამო დადგენილებათა პროექტების განსახილველად შეტანის წესის შესახებ.

„ 177. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თაობაზე“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.

„ 178. მუშათა ბინების მშენებლობის დამხმარე კომიტეტების შესახებ.

„ 179. ნედლეულობის დამმზადებელ საწარმოთა მოგების ნაწილის ადგილობრივ საბჭოების შემოსავლად გადარიცხვის შესახებ.

„ 180. სოციალური დაზღვევის წესით დახმარებისა და პენსიის დანიშვნისა და გაცემის ახალი წესების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 181. ქუთაისისა და სოხუმის უბნებში ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო სააქციო საზოგადოების მომქმედი სამგზავრო ტარიფების ნაწილობრივ შემცირების შესახებ.

„ 182. საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის თვითღირებულების— ფრანკო-ვაგონ ბათუმი—განსაზღვრის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 40 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**174.** **ყრილობებისა და თათბირების მოწვევის ნებადართვის წესის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს მიერ ყრილობისა და თათბირის მოწვევა შეიძლება მხოლოდ სათანადო უწყების ხელმძღვანელის ნებართვით, რაც წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კფსრ-სა ან სათანადო რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან.

2. საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ ყრილობისა და თათბირის მოწვევას ნებას დართავს იმ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს ყრილობა და თათბირი.

3. ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა უნდა გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განსავითარებლად.

II.

4. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „უწყებებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისაგან ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევის წესის შესახებ“ 1926 წ. ოქტომბრის 12-ს მიღებული (ა/კსფსრ სახ. კომის. საბჭოს ოქმი 1926 წ., № 35, პუნ. 14) დადგენილების მე-2 მუხლი გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1554 №-ში 1927 წ. აგვისტოს 18-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება № 41 ამკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**175. წყალში დალუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის დებულების მე-6 და 25 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. ოქტომბრის 14-ს დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-13 №- რი, მუხ. 758) დამტკიცებული „წყალში დალუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკავკასიის კომიტეტის დებულების" მე-6 და 25 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„6. წყალში დალუპვისაგან გადამრჩენი ამიერკავკასიის კომიტეტის წევრებს გზათა სახალხო კომისარიატის უწყებისაგან და ამ კომიტეტის თანამშრომლებს აქვთ ყველა ის უფლება, რაც დადგენილია გზათა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისათვის".

„25. წყალში დალუპვისაგან გადამრჩენი ადგილობრივი კომიტეტის წევრებს გზათა სახალხო კომისარიატის უწყებისაგან და ამ კომიტეტის თანამშრომლებს აქვთ ყველა ის უფლება, რაც დადგენილია გზათა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებისათვის".

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჩუხეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1554 №-ში 1927 წ. აგვისტოს 18-ს.

---

# დადგენილება № 42 ამკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**176. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში სოციალური დაზღვევის საკითხების გამო დადგენილებათა პროექტების განსახილველად შეტანის წესის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განმარტებულ იქნეს, რომ ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭოს დებულების მე-4 მუხ. „ვ" პუნ. ძალით (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 579) არც ერთი პროექტი დადგენილებისა, რაც მთლად ან ნაწილობრივ სოციალური დაზღვევის საკითხს შეეხება, მათ შორის სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ტარიფსაც, აგრეთვე წარსული დროის განმავლობაში სადაზღვევო შესატანთაგან შემდგარი დავალიანების ჩამოწერას, არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ, უკეთუ იგი წინასწარ არ განიხილა ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულმა სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭომ.

2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისა, უწყებებისა, სამეურნეო და სხვა ორგანოების შუამდგომლობა ამა დადგენილების 1-ლ მუხ. ჩამოთვლილ საკითხების გამო, შეიტანება განსახილველად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭოში, ან უშუალოდ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში.

**შენიშვნა.** ვიდრე, ამა დადგენილებაში აღნიშნული წესით, საბოლოოდ გადასწყდებოდეს საკითხი სადასაზღვეო ტარიფის გადასინჯვის გამო,—ადგილობრივ უკლებლივ მოქმედობს წინად დაწესებული ტარიფი.

3. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის საბჭოს მიერ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში სოციალური დაზღვევისათვის შესატანი გადასახადის ტარიფისა და აგრეთვე წარსული დროის განმავლობაში სადასაზღვევო შენატანთაგან შემდგარი დავალიანების ჩამოწერის საკითხების გამო მოხსენების წარდგენისათვის დაწესებულ იქნეს ორი ვადა: იანვარში და ივლისში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-ხასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1557 №-ში 1927 წ. აგვისტოს 21-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**177. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშა-მოსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თაობაზე" 1927 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით გამოცემული დადგენილების რედაქციის შეცვლის შესახებ.**

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშათა ბინების მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა შესახებ" 1927 წ. ივნისის 15-ს თარიღით გამოცემული (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 36 №-რი, მუხ. 368) დადგენილების თანახმად—ამიერკავკასიის ცენტრალური

ტფილისი

ამასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ: ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ“ 1926 წ. აგვისტოს 5-ს თარიღით და 33 №-რით გამოცემულ (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-9 №-რი, მუხ. 710) დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) 1-ლ მუხლში—სიტყვების „(სამრეწველო, კომუნალური, სასოფლო-სამეურნეო და სხვ. ბანკები)“ შემდეგ ჩართულ იქნეს სიტყვები: „სამომხმარებლო კოოპერატიული ორგანიზაციები, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით, და აგრეთვე“;

ბ) მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუშა-მოსამსახურეთა გაუმჯობესების ფონდიდან გამოიყოფა მუშათა ბინების მშენებლობისათვის:

ა) არა ნაკლებ 75%-სა სახელმწიფო, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა მიერ, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათა (საპაიო ამხანაგობათა) მიერ, რომლებშიაც ფაქტიურად სახელმწიფო კაპიტალი სჭარბობს და რომელთა ძირითადი მიზანიც, მათი წესდების მიხედვით, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციაა;

ბ) არა ნაკლებ 85%-სა სხვა, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ;

გ) მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამიერკავკასიის სავაჭრო საწარმოთა, საკრედიტო დაწესებულებათა და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების (პაიების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, ან რომელთა დამფუძნებელნიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რანიც, მათივე წესდების მიხედვით, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით;

დ) მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„რესპუბლიკანურ, კომუნალურ და ადგილობრივ სავაჭრო საწარმოთათვის, საკრედიტო დაწესებულებათათვის და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათათვის, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით, აგრეთვე იმ სააქციო საზოგადოებათათვის, რომელთა აქციების (პაიების) უმეტესობა ფაქტიურად სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა ხელშია, ან რომელთა დამფუძნებელნიც მარტოოდენ ისეთი სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმონი არიან, რანიც მათივე წესდების მიხედვით, ძირითად მიზნად სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოთა ექსპლოატაციას არ ისახავენ,—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, იმავე რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული მუშათა ბინების მშენებლობის დამხმარე კომიტეტის წარდგენით;

ე) მე-8 მუხლში—სიტყვების: „და საკრედიტო დაწესებულებათა“ შემდეგ ჩართულ იქნეს სიტყვები: „და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათა, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით)“;

ვ) მე-9 მუხლში—სიტყვების: „საკრედიტო დაწესებულებათა“ შემდეგ ჩართულ იქნეს სიტყვები: „და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციათა, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებათა გამოკლებით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ჯუღელი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1560 №-ში 1927 წ. აგვისტოს 25-ს.

---

# დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

## 178. მუშათა ბინების მშენებლობის დამხმარე კომიტეტების შესახებ.

ამიერკავკასიიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. ივნისის 15-ს დამტკიცებული—მუშათა ბინების მშენებლობისათვის ხელისშემწყობ ღონისძიებათა დებულების (კან. კრ. 1927 წ. 36 №-რი, მუხ. 369) ა/კსფსრ ტერიტორიაზე განხორციელებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან დაარსდებიან მუშათა ბინების მშენებლობის დამხმარე კომიტეტები შრომისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს, საბინაო კოოპერაციის რესპუბლიკანური შენაერთისა და სათანადო რესპუბლიკის მთავარი ქალაქების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელთა შედგენილობით.

აღნიშნული დამხმარე კომიტეტები მოქმედებენ სათანადო რესპუბლიკანური სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულების თანახმად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივნის თან. დრ. აღმ. **ს. ჯუღელი.**

1927 წ. აგვისტოს 1. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1560 №-ში 1927 წ. აგვისტოს 25-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 43 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

**179. ნედლეულობის დამმზადებელ საწარმოთა მოგების ნაწილის ადგილობრივი საბჭოების შემოსავლად გადარიცხვის შესახებ.**

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ნედლეულობის დამმზადებელ საწარმოთა მოგების ნაწილის ადგილობრივი საბჭოების შემოსავლად გადარიცხვის შესახებ“ 1927 წ. იანვრის 12-ს თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 45) და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ, სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ერთად, ამ დადგენილების შესაფარდებლად 1927 წ. ივლისის 6-ს დამტკიცებული („ვესტნიკი ფინანსოვ“-ის 1927 წ. 36 №-რი) ინსტრუქციის მე-7 მუხლის თანახმად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გავრცელებულ იქნეს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. იანვრის 12-ს თარიღის დადგენილება—ნედლეულობის დამმზადებელ საწარმოთა მოგების ნაწილის ადგილობრივი საბჭოების შემოსავლად გადარიცხვის შესახებ—შემდეგ სახელმწიფო საწარმოზე და სააქციო საზოგადოებაზე, რომელნიც ნედლეულობის დამზადებას აწარმოებენ: ამიერკავკასიის სახელმწიფო საექსპორტო-საიმპორტო სავაჭრო კონტორაზე („ზაკგოსტორგ“), ამიერკავკასიის ხორცის ვაჭრობის სააქციო საზოგადოებაზე („ზაკმიასოტორგ“), ამიერკავკასიის ნედლეულობის უტილიზაციის სააქციო საზოგ-ზე („ზაკუტილსირიო“) და „ბიან“-ზე.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს შეავსონ, ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, სია თვითეულ რესპუბლიკაში იმ რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოთი და მარტოოდენ სახელმწიფო კაპიტალის მონაწილეობით მომქმედ სააქციო საზოგადოებით, რომელიც ამზადებს და ასაღებს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულობას ისეთი რაოდენობით, რაც მის საერთო ბრუნვის 10%-ზე ნაკლები არ არის.

3. გადარიცხვა მოხდება უწყებული საბიუჯეტო წლის წინა საოპერაციო წელიწადში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულობის დამზადებისა და გასაღების ოპერაციებით მიღებული წმინდა მოგების 10%-ს რაოდენობით, რა წმინდა მოგებაც ბალანსით გამოირკვევა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **დ. ჰუსეინოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. აგვისტოს 4.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1561 №-ში 1927 წ. აგვისტოს 26-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დადგენილება № 58 ა|კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

**180. სოციალური დაზღვევის წესით დახმარებისა და პენსიის დანიშვნისა და გაცემის ახალი წესების ა/კსფსრ-ში სამოქმედოდ შემოღების შესახებ.**

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ ტერიტორიაზე სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს შემდეგი დადგენილებანი:

ა) სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 116 №-რის დადგენილება „დამზღვევი სალაროების ზოლებრივად დაყოფის დამტკიცების შესახებ სოციალური დაზღვევის წესით გასაცემ პენსიისა და დახმარების რაოდენობისათვის“ (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ. 22 №-რი);

ბ) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს 1927 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 117 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის წესით გასაცემი პენსიის მტკიცე განაკვეთის მაქსიმუმის შესახებ“ (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ 22 №-რი);

გ) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს 1927 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 118 №-რის დადგენილება „დამატებითი სახის საუზრუნველყოფო დახმარების ნორმების შესახებ“ (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ. 22 №-რი);

დ) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს 1927 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 121 №-რის დადგენილება „დროებითი შრომის უუნარობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ (სსრკ შრომ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ. 23 №-რი);

ე) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს მიერ 1927 წ. მაისის 9-ს თარიღით და 122 №-რით დამტკიცებული „წესები დროებითი შრომის უუნარობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ“ (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ. 23 №-რი);

ვ) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს 1927 წ. მაისის 19-ს თარიღისა და 123 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის წესით დამატებითი დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე გამოცემული წესების შეცვლის შესახებ“ (სსრკ შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1927 წ. 23 №-რი);

ზ) სსრკ შრ. სახ. კ-ტთან არსებული სდსს 1927 წ. მაისის 19-ს თარიღისა და 128 №-რის დადგენილება „სოციალური დაზღვევის წესით უმუშევრობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების შესახებ“ (В. С-.ს 1926 წ. 26 №-რი);

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) სსრკ შრომის სახ. კ-ტთან არსებული სოც. დაზღვ. საკავ. საბჭოს მიერ 1927 წ. მაისის 19-ს თარიღით დ 127 №-რით დამტკიცებული „წესები სოციალური დაზღვევის წესით უმუშევრობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ (В. С.-ს 1927 წ. 26 №-რი) შემდეგი ცვლილებით: ზოლებრივი დაყოფისათვის ქვემოდ ჩამოთვლილი სალაროები მიეკუთვნოს: ბაქოსი—პირველ ზოლს, ტფილისისა—მეორე ზოლს და ერევნისა, ბათუმისა და ჭიათურისა—მესამე ზოლს.

2. 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ, სსრკ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს დადგენილებათა სამოქმედოდ შემოღების დრო განისაზღვრება ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოს ა/წ. ივლისის 23-ს თარიღისა და 57107 №-რის ცირკულიარული მიწერილობით.

ხოლო ის ცვლილებანი, რაც შეტანილია ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ზოლებრივი დაყოფის გამო, განხორციელებულ იქნეს 1927 წ. სექტემბრის 1-დან.

3. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა სამოქმედოდ შემოღებისათანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „უმუშევრობისათვის დახმარების მიცემის შესახებ“ 1924 წ. ნოემბრის 22-ს თარიღითა და 139 №-რით გამოცემული დადგენილების 3—27 მუხლები (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. „ვესტნიკ“-ის 1924 წ. მე-14 №-რი);

ბ) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. აპრილის 18-ს თარიღისა და 26 №-რის დადგენილება „უმუშევრობისათვის დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ“ (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. „ვესტნიკ“-ის 1925 წ. 8—9 №-რი);

გ) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წ. მაისის 8-ს თარიღისა და 47 №-რის დადგენილება „ერთი დამზღვევი სალაროს მოქმედების რაიონიდან მეორე დამზღვევი სალაროს მოქმედების რაიონში გადასული დაზღვეული პირის უზრუნველყოფის წესის შესახებ“ (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1923 წ. 3—4 №-რი);

დ) ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „დროებით სამუშაოზე მყოფ, გასტროლებზე მოგზაურ და კოლექტივებში მოწყობილ, ხელოვნების დარგში მომუშავეთა სოციალური დაზღვევის შესახებ“ 1923 წ. ოქტომბრის 24-ს თარიღითა და 94 №-რით გამოცემული ცირკულიარის ლიტ. „ა“. ლიტ., „ა“-ის 1-ლი და მე-2 შენიშვნა და მე-11 კარის „გ“ ლიტერ. შენიშვნის პირველი წინადადება (ა/კ. შრ. სახ. კ-ტის იზვ. 1923 წ. მე-6 №-რი).

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

სოც. დაზღ. მთავ. სამმართველოს
უფროსის მოადგილე **თუშიშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1563 №-ში 1927 წ. აგვისტოს 28-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1927 წ. აგვისტოს 26 № 12/P.

**181. ქუთაისისა და სოხუმის უბნებში ა/კ. საავტომობილო სამრეწველო-სავაჭრო საზოგადოების მოქმედი სამგზავრო ტარიფების ნაწილობრივ შემცირების შესახებ.**

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის ა/წ. ივლისის 20-ს თარიღის დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, რომელი დადგენილებაც გამოქვეყნებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ს 1535 №-ში ა/წ. ივლისის 24-ს, ამა დადგენილებით მყარდება ახალი ტარიფი შემდეგ ორს უბანში:

1. სოხუმ-ახალი ათონი ან წინაუკმოდ—1 მან. და 50 კაპ. მგზავრზე ერთი მიმართულებით.

2. ქუთაის-ბაღდადი ან წინაუკმოდ—1 მან. და 50 კაპ. მგზავრზე ერთი მიმართულებით.

რაც შეეხება ამ ხაზებით სამგზავრო ბარგის გადაზიდვას—მოქმედი ტარიფი უცვლელად რჩება.

ტარიფი ესე დაწესდება ვადით 1928 წ. იანვრის 1-მდე და კანონიერად მოქმედ ტარიფად ჩაითვლება 7 დღის შემდეგ ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **გვერდწითელი.**

საუწყებათაშ. სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თანამდებობის აღმ. უფროსი ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1563 №-ში 1927 წ. აგვისტოს 28-ს.

---

# დადგენილება № 6 ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველო)

1927 წლის ივნისის 13.

**182. საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის თვითღირებულების—ფრანკო-ვაგონ ბათუმი—განსაზღვრის წესის შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ „ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ" 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოცემული დადგენილების მე-3 მუხ. „გ" პუნქტისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სსრკ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ა/წ. მაისის 6-ს თარიღითა და 90 №-რით გამოცემული დადგენილების თანახმად, ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

§ 1. დაწესებულ იქნეს შემდეგი ნუსხა იმ ხარჯებისა, რითაც განისაზღვრება საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების თვითღირებულება ფრანკოვაგონ ბათუმი:

1) სას.-სამ. მანქანებისა და იარაღის საფაქტურო ღირებულება.

2) სასყიდლის გადახდის გარანტიის ხარჯი და კაპიტალის პროცენტი ყიდვის მომენტიდან საქონლის ბათუმის საბაჟოში მისვლამდე—5 პროც.

3) სათამასუქო გამოსაღები—0,25$^0/_0$.

4) ვაჭრობის წარმომადგენლობის პროცენტი—2,215$^0/_0$.

5) ჩაფუთვის ნამდვილი ღირებულება.

6) დაზღვევა სიფ-მდე—0,645$^0/_0$.

7) ფრახტის ღირებულება გასაგზავნ ვაგონამდე ფაქტიური ხარჯის მიხედვით,

8) დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯი ნამდვილი ღირებულების მიხედვით.

9) ბაჟი და საბაჟოს გამოსაღები.

§ 2. ამა დადგენილების 1-ლი §-ფის მიხედვით გამოანგარიშებული თვითღირებულების უკიდურესი წანამატი, რომლითაც დაფარულ უნდა იქნეს მანქანების შემომზიდველი ორგანიზაციების საორგანიზაციო ხარჯები, განისაზღვროს საფაქტურო ღირებულების 2$^0/_0$-ს რაოდენობით.

§ 3. როდესაც სას.-სამ. მანქანებს მანქანების ვაჭრობის მწარმოებელი ორგანიზაცია იყიდის, ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 §-ს საფუძველზე განსაზღვრული საგასაცემო საბითუმო ფასს დაერიცხება 0,5$^0/_0$ სტანდარტიზაციისათვის.

§ 4. საიმპორტო სას.-სამ. მანქანებისა და იარაღის ცალობითი ფასი შედგება: ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 მუხ. მიხედვით განსაზღვრული საგასაცემო საბითუმო ფასისაგან, სტანდარტიზაციისათვის დაწესებული ამ ფასის 0,5$^0/_0$-ნი ზედნართისაგან და ამრიგად მიღებული ფასის 12$^0/_0$-გან, რაც საქონლის გამტარებელი ქსელის სავაჭრო საჭიროებისათვის არის დაწესებული, აგრეთვე ფრახტისა და ჰაპანზიდვის გზით მიზიდვის ფაქტიური ხარჯისაგან.

§ 5. დეწესებულ იქნეს შემდეგი განაწილება 12$^0/_0$-ნი წანამატისა საქონლის გამტარებელი ქსელის შემადგენელ ერთეულებ შორის:

1) ცენტრალური მანქანების ვაჭრობის მწარმოებელ ორგანიზაციას (ამიერკავკასიისათვის სასოფ.-სამეურნეო მანქანების მიმწოდებელი სააქციო საზოგადოება)—2,5$^0/_0$.

2) რესპუბლიკანურ კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს—1,5$^0/_0$.

3) ძირეულ ქსელს—8$^0/_0$.

**შენიშვნა 1.** 1,5$^0/_0$-ს რაოდენობით განსაზღვრული წანამატი შეფარდებულ იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკანური კოოპერატიული კავშირი სას.-სამ. მანქანებს თავის ძირეულ ქსელს მიაწვდის კომისიის საფუძველზე, საკუთარი სახსარის დაუბანდებლად და ნასესხი კაპიტალისათვის ხარჯის გაუწევლად.

უკეთუ მანქანების მიწოდება საწყობებიდან მოხდება თავისი ან ბანკის სახსარის მონაწილეობით, რისთვისაც გაღებულ იქნება პროცენტი, წანამატს განსაზღვრავს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული კრედიტისა და კაპიტალის ნამდვილი ღირებულების მიხედვით, ხოლო არა უმეტეს 4—5%-სა; თანაც ძირეული ქსელისათვის დაწესებული წანამატი სათანადოდ შემცირებულ უნდა იქნეს.

**შენიშვნა 2.** მომხმარებლისათვის ცალობით მიყიდვის დროს საერთო წანამატი, სასტანდარტიზაციო ზედნართის დაურიცხველად, არ უნდა აღემატებოდეს 12%-ს იმ ფასისას, რაც ამა დადგენილების 1-ლი და მე-2 §§-ს მიხედვით გამოიანგარიშება.

§ 6. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთ საქართველოს სსრ-ში, აზერბაიჯანის სსრ-ში და სომხეთის სსრ-ში დააწესონ, ამა დადგენილების ზემოაღნიშნული პარაგრაფების მიხედვით, მანქანების ვაჭრობის მწარმოებელი ორგანიზაციების საწყობებში შემოსული ყოველი ტიპისა და მარკის საიმპორტო სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის საპრეისკურანტო ფასები.

§ 7. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/კსფსრ-ში შემავალ თვითეულ რესპუბლიკაში თვალყური უნდა ადევნოს ამა დადგენილების სისწორით აღსრულებას.

§ 8. ამა დადგინილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსისამებრ, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა და გავრცელდება მის სამოქმედოდ შემოღების მომენტამდე მანქანების შემომზიდველ და მანქანების ვაჭრობის მწარმოებელ ორგანიზაციებს შორის, აგრეთვე მათი საქონლის გამტარებელი ქსელის ცალკე ერთეულებ შორის დადებული ხელშეკრულების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხება ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის ჯერ კიდევ ჩაუბარებელ პროდუქციას.

ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარი **ბექზადიანი.**

სამრეწ. და სასურს. საქონლის სამართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1564 №-ში 1927 წ. აგვისტოს 31-ს

---

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 2255. დაიბეჭდა 800.